საქართ. შემარცხენე სოც.-დემოკრატიული სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია ღილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ოთხშაბათი, აგვისტოს 8 1922 წ.

ტფილ. ფასი 500 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

იაპონიის იმპერიალიზმი

იაპონიის იმპერიალიზმი საერთაშორისო ძალთა წონასწორობაში ერთ-ერთ სერიოზულ ძალას წარმოადგენს. აღმოსავლეთის საკითხი. რომლისაკენაც დღეს მიქცეულია მთელ მსოფლიოს ყურადღება შეუძლებელია გადაწყდეს იაპონიის იმპერიალიზმის გარეშე. ვისაც წილად ერგება აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა მას აუცილებლად მოუხდება იაპონიის იმპერიალიზმთან შეხვედრა.

იაპონიამ, სადაც პირველი სავაჭრო გემი მხოლოდ 1853 წ. შევიდა სულ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში შესძლო წარმოების გაფართოება და იაპონიის კაპიტალმა განვლო ყველა ფორმები თავისი განვითარებისა.

წინეთ უცნობენელო ქვეყანამ, წარმოების გაფართოების შემდეგ, იმპერიალისტური პოლიტიკის გეგმა შეადგინა და კიდეც შესძლო აზიის სანაპირო ქვეყნების მიმართ იმპერიალისტური ექსპერიმენტების მოხდენა. კუნძული რიუკიუს სახელიც კი წაუშალა იაპონიის იმპერიალიზმმ და იგი ოკინავიის ოლქის სახელწოდებით შემოიერთა. კორეის მეფეს სიკვდილი მიუსაჯა ხალხგაზრდა იმპერიალიზმმა და მოახდინა ამ კუნძულის ოკუპაცია. იაპონიის იმპერიალისტური მადა ჩინეთსაც წაწვდა დაამარცხა იგი და საკმაო ხარკიც აკრიფა.

ციმბირი არ შეიძლება იაპონიის ყურადღების გარეშე დარჩენილიყო და ისიც შეებრძოლა ტიტანიურ რუსეთს, რაც მოუულოდნელი იყო პოლიტიკურ მოღვაწეებისათვის ისე, როგორც მოულოდნელი იყო საფრანგეთ-პრუსეთის ომი, ინგლის ბურების, ბალკანეთის და სხვ.

როგორც ვიცით იაპონიამ ომში საკვირველი ძალა გამოიჩინა და რუსეთთან ზავით მან მიიღო პორტ-არტური. დალნი, ლოდუნის ნახევარ კუნძული, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა, სახალინის დიდი ნაწილი და 121 მილიონიც.

იაპონის იმპერიალიზმი შეუდგა ჩინეთის ეკონომიურ დამონებას და მან კიდეც მიაღწია ამ მიზანს. მან ჩინეთში დააარსა ბანკები და ჩინეთის ფინანსიური საქმეები დღეს უმთავრესად იაპონიის ხელშია. მის ხელშია რკინის-გზის უდიდესი ნაწილი და ვაჭრობა-მრეწველობა, რომელითაც კონკურენციას უწევს ინგლისსა და ამერიკის ფაბრიკატებს მის ხელშია ჩინეთის ყველა დიდი და მნიშვნელოვანი გაზეთები, ტელეგრაფის უმთავრესი სადგურები და სხვა.

მსოფლიო ომის დროს იაპონიამ გამოიჩინა დიდი პოლიტიკური აღლო. იგი ომის გარეშე დადგა, ხოლო გერმანეთის ომის გამოცხადებით ხელთ იგდო გერმანეთ-ჩინეთის ცინდაო. 1918 წელს მან ისარგებლა რუსეთში შექმნილი რთული მდგომარეობით, და წამოვიდა ციმბირზე, აღლო ვლადივოსტოკი და დაიკავა ყველა სტრატეგიული პუნქტები,

როგორია მდგომარეობა დღეს? იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტით მიმართა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელშიაც აუწყებს, რომ იაპონია მოიხდენს ციმბირიდან თავის ჯარების ევაკუაციას და 1 ნოემბერს ამასთანავე იაპონია სურვილს გამოთქვამ სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ.

პასუხად იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ნოტისა რ. ს. ს. რ. საგარეო საქმეთა კომისარიატისა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გადაეცა ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მოლაპარაკება უნდა სწარმოებდეს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის და იაპონიის წარმომადგენელთა თანასწორ უფლებების აღიარების მიხედვით და მოლაპარაკების ადგილად ნიშნავს ჩიტას ან მოსკოვს და წარმომადგენლებმა კი ადოლფ იოფეს და იაკობ იანსონს.

რაშია საქმე? რა მიზეზმა აიძულა იაპონიის იმპერიალიზმი, ეს გუშინდელი მტერი, ჯარების ევაკუაცია მოახდინოს და სამშვიდობო მოლაპარაკება გამართოს? ნუ თუ ადმირალმა კატომ თავი გაანება იმპერიალისტურ ავანტიურებს?

როგორც ვიცით იაპონია დღეს იზოლიაციაშია მოქცეული. იმის ინტერესები აზიაში უპირისპირდება როგორც ინგლისისა და საფრანგეთის, ისე ამერიკის ინტერესებს.

ინგლისი ცდილობდა იაპონია გამოეყენებია ამერიკის წინააღმდეგ და ამ ნიადაგზე იყო აგებული ინგლის-იაპონიის კავშირი. ეს კავშირი ვაშინგტონის კონფერენციის ატმოსფერამ იმსხვერპლა. თავისი მხრით ვაშინგტონმა აღმოსავლეთის საკითხი ვერ გადაწყვიტა და იაპონია მარტოდ დარჩა აზიაში. მის წინააღმდეგ თანდათან მზადდება საფრთხე ჩინეთის მხრივ. ჩინეთის ხალხს დიდი ხნობით ველარ გაუძლებს მონობის ქვეშ იაპონია. მეორე მხრით ციმბირის გამო რუსეთის საფრთხე სდგას იაპონიის წინაშე, რადგან რუსეთი ნებას არ მისცემს მას იმატოსროს იმ ხარეში, სადაც რუსეთის ხალხი ცხოვრობს. ეს მდგომარეობა დღეს აიძულებს იაპონიას იარაღის ულარუნი შეაჩეროს და სამშვიდობო მოლაპარაკებას მიმართოს. უნდა ვიფიქროთ, რომ იაპონიის გარეთუოლებული მდგომარეობა, რასაც ემატება წელს ბრინჯის მოუსავლობა, აიძულებს მას მარილაც მერეე ზარი დაკრას ევაკუაციური ჯარით დატვირთული გემებისათვის და დიდ კომპრომისზე წავიდეს რუსეთის მიმართ.

იაპონიის საშინაო მდგომარეობა, რომლის ფართო დახასიათებას ამ არ შეუდგებით, აუცილებლად მოითხოვს სამხედრო ხარჯების შემცირებას და შინაურ ცხოვრების მოწესრიგებას, რასაც იგი შესძლებს იმ შემთხვევაში თუ რუსეთის საფრთხე მოხსნილი იქნება მისთვის.

რუსეთისათვის იაპონიასთან კავშირს და მეზობლურ ურთიერთობას დიდი შედეგები შეიძლება მოყვეს, ეს კავშირი მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო მით, რომ ციმბირი განთავისუფლდება იაპონიისაგან და ვლადივოსტოკი და ნიკოლაევსკი დაუბრუნდება რუსეთს, არამედ ამ კავშირს ექნება დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ორივე ქვეყნისათვის. იაპონიის ინდუსტრია დღეს მსუბუქ ძალას არ წარმოადგენს, რომლის გამოყენება შეუძლია რუსეთს და რუსეთის ნედლი მასალაც დიდათ გამოადგება იაპონიის მრეწველობას.

ყოველივე ეს გვარწმუნებს იმ დებულებაში, რომ როგორც ადმირალი კატო ისე მინისტრები იამანაში და უჩიდა თავის პოლიტიკას წარმართავენ რუსეთთან შეთანხმებისაკენ.

საბჭოთა ქვეყნებისათვის სამ შეთანხმებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იაპონიას კი არ ძალუძს ამ პირობებში დარჩენა, რადგან იგი იზოლიციაშია დარჩენილი და მის წინააღმდეგ სდგას როგორც ჩინეთის, ისე რუსეთის საფრთხე.

საომარის აუმბარის გავარდნის გამო შეიძლება იაპონიის წინააღმდეგ თავი წამოყოს დამონებულმა კორეიამ, რიუკიუმ, ფორმოზამ გარეშალდმა, კოროლინმა და სხვა პროვინციად ქცეულმა ქვეყნებმა, რაც ძირს გაუთხრის იაპონიის იმპერიალიზმ, ამიტომ არის, რომ იაპონია დღეს სამშვიდობოდ ლაპარაკობს, ხოლო ხვალ იგი აღლად კეთილ მეზობლურ განწყობილებას განამტკიცებს საბჭოთა ქვეყნებთან.

ს. რ. ამაღლობელი.

პრესა

როგორც მკითხველებს მოეხსენება უკანასკნელ ნომრებში ჩვენს ორგანოსა და გაზეთ „კომუნისტს“ შორის კამათია გამართული „ვეხისტების“ შესახებ. „კომუნისტი“ ბრალდებას ვეკუნებდა, რომ ჩვენ მკითხველებს დაუმალეთ „ვეხისტების“ წინააღმდეგ. წარმოებული ბრძოლა რუსეთში. ჩვენ „კომუნისტის“ მეპრესეს პირდაპირ დაუსვით კითხვა (იხ. „ტრიბუნა“ № 261) ნიშნავს თუ არა „ვეხისტების“ წინააღმდეგ ბრძოლას ის ფაქტი, რომ კომუნისტი მერესჩაკოვი სასურველად სცნობს „ვეხისტების“ მუშაობას და ამბობს „დეე ისინი დარჩენ რაც არიან და იმუშაონ რუსეთის საკეთილდეოდ?“ ნიშნავს თუ არა ბრძოლას მათი ამხანაგის, კომუნისტი ბერგმანის განცხადება, რომ „ვეხისტები“ ჩვენი ძმები თუ არა, ბიძაშვილები არიანო? ამის შესახებ „კომუნისტი“ სწერს შემდეგს:

„პეშმარიტად, რომ გაგება უნდა ნათქვამს, მაგრამ ამ გაგების უნარი შესწევთ ისევ და მხოლოდ მას, ვისაც „აზროვნების ფიზიკური ძალა“ არ ღალატობს მაცდურად და შეუძლია მდგომარეობის გაგება. ამ მდგომარეობაზე ჩვენ ვსთქვით და უნდა კვლავ ავუხსნათ „ტრიბუნას“ და მის თანამშრომლებს, რომ ბერგმანის სიტყვა არის „ლიაპსუსი“ „მანიერ დე პარლე“ იტყოდა ფრანგი ან ფრანგულის მკოდნე „ტრიბუნასტი“.

„პეშმარიტად, რომ გაგება უნდა ნათქვამს“ და ეს უკანასკნელი „ნათქვამი“ კი იმას ნიშნავს, რომ თურმე კომუნისტებს ლაპარაკის მანერას წარმოადგენს „მპყრობელი ერის ნაციონალიზმის“ წარმომადგენლებსა ტ. „ყოფილ კოლჩაკელებს“ რომ ბიძაშვილები უწოდონ. ამიერიდან დავიხსომებთ, რომ კომუნისტების ლაპარაკის მანერა („მანიერ დე პარლე“), ასეთი ლექსიკონით ყოფილა მდიდარი.

ორიოდე სიტყვა „შიშის“ შესახებ. „კომუნისტის“ მუქარას, რომელიც „თავების გაგორებით“ გვემუქრებოდა, ჩვენ უწოდეთ „ბარალის კრიტიკა“ და აღვნიშნეთ, რომ თუ ასეთი მეთოდით წარმართებოდა ჩვენს შორის ბრძოლა, ცხადია გამარჯვებას „კომუნისტს“ დარჩებოდა.

ამის შესახებ „კომუნისტის“ მეპრესე გვეუბნება, რომ „ტრიბუნას“ ამაში რაღაც მუქარა დაუნახავს და შეშინებიაო, ჩვენ კი აზრად არ მოგვსვლია ძუქარა.

საქმე ის არის, რომ საბჭოთა წყობილებაში რასაც ცეკა იტყვის მას ჩეკა ასრულებს და როდესაც ცეკას ორგანომ „თავების გაგორება“ გვაუწყა ვფიქრობ, რომ ეს მუქარა არის, რაც შეეხება „შიშს“ უნდა გამოვტყდეთ, ისეთი რაინდები არ ვართ, რომ „თავის გაგორების“ არ გვეშინოდეს, მაგრამ არც ისეთი ახდალები გახლავართ, რომ პოლიტიკურ ბრძოლას გავექცეთ და ამიტომაც თქვენ მუქარას გავეცით სათანადო პასუხი, რომ შეგვშინებოდა, ცხადია გავუმდებოდით.

„კომუნისტის“ აზრით ჩვენ საკითხი „ვეხისტების“ შესახებ ვიწროდ, ჩვენი „ქოხის“ (ალბად ქვეყნის მეპ.) თვალსაზრისით დავყენეთ და ამიტომ იგი სწერს:

„მაგრამ, „ტრიბუნისტები“ სხვა ჯურის ხალხია. ამ დიდ საქმესაც ისინი უყურებენ არა ფართო პერსპექტივების რევოლიუციონური თვალსაზრისით, არამედ ადგილობრივი, ნაციონალური, და—ნუ გაბრაზდებით!—ნაციონალისტური თვალსაზრისითაც რადგან, როგორი იყო გამოსავალი წერტილი ს.—ელის მსჯელობაში? „მენშევიკისტები“ „გამარჯვებულნი“ არიან და ყოფილ დამონებულ ერებს მაცდურ თვალს გვავლებენო. „ტრიბუნისტი“ მომწყვდეულია ნაციონალურ ნაჭუჭში. როდესაც ამ ნაჭუჭიდან გადახედავს ჩვენ პლანეტას და შენიშნავს ცუდს, ის ყვირის შემკრთალი, რისი სახელით ან ინტერესით? მხოლოდ თავისი „ქოხის“ ინტერესით. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ ეს „ქოხი“ არ უნდა დავიცვათ, პირიქით, მისი დაცვა ჩვენი ფართო რევოლიუციონური გზის ხაზია, ეს ჩვენი მოვალეობაა, ამითაც ვემსახურებით ჩვენ დიდ საქმეს, როგორც მატარებელნი სოციალური და ეროვნული განთავისუფლების. მაგრამ ჩვენ ასეთ კითხვებს ვუდგებით ფართო მასშტაბით, არა ადგილობრივით, არამედ მოძრაობის და მიზნის საერთო ინტერესებით, რომელიც გულისხმობს კერძოს და ადგილობრივსაც“.

ჩვენ თანახმა ვართ, რომ როგორი სიგრძე-სიგანითაც სურს „კომუნისტს“, ისე განვიხილოთ საკითხი, მხოლოდ ერთი პირობით—ფართო მაშტაბში საკითხის გაშლის დროს საქართველოს ისე არ დავზორდეთ, რომ იგი ვედარ დავინახოთ.

„კომუნისტმა“ უნდა იცოდეს, რომ რევოლიუციის თვალსაზრისი არავითარ შემთხვევაში არ მოითხოვს მის მიერ „ქოხად“ დასახული შენობის დანგრევას და თუ ისინი მართლაც არიან „მატარებელი სოციალისტური და ეროვნული თავისუფლების“ ოთრიეულ სათანადო ადგილი უნდა დაუთმონ და სხვას ნულარ დადებენ ბრალს იმაში, რისი კეთებაც მათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

ამიტომ „კომუნისტი“ რომ ლოლიკაში დარჩეს, მან უნდა სთქვას,—მართალია „ვეხისტების“ გამოსვლა დადებითია, რამდენადაც ისინი შლიან თეთრგვარდიელთა ემიგრაციას, მაგრამ მათი გამოსვლა უარყოფითია, რამდენათაც ისინი ატარებენ „მპყრობელი ერის ნაციონალიზმს“ და ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების მოვალეობაა სასტიკი ბრძოლა აწარმოვონ ამ უკანასკნელი ტენდენციის წინააღმდეგ და ნება არავის მისცენ შეფარაცხყონ განაპირა ქვეყნების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესი.

ასეთი თვალსაზრისი იქნება „მატარებელი სოციალისტური და ეროვნული თავისუფლების“. ხოლო თუ კომუნისტების ლაპარაკის მოწერა „ყოფილ კოლჩაკელებს“ ბიძაშვილებს უწოდებს, ამ ნათქვამს ჩვენ გავიგებთ, მაგრამ მასში ვერ დავინახავთ ვერც სოციალისტურს და ვერც ნაციონალურ, (და არა ნაციონალისტურ) თვალსაზრისს.

ცხოვრება და კანონი

(გაგრძელება)

ძირითადი კანონების ძალით, როგორც წარსული წერილიდან სჩანს, საქართველო არის ქართველ მუშათა, ქართველ გლეხთა და ქართველთა წითელ არმიის სუვერენული ქვეყანა. მისი სახელმწიფო ტერიტორია ხელუხლებელია, მისი სახელმწიფო ენა ქართული ენაა მისი სატახტო ქალაქი, უზენაეს დაწესებულებათა რეზიდენცია, ტფილისი.—საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკა ადიარებს, რომ იგი მზათ არის შევიდეს საერთაშორისო სოციალისტურ საბჭოთა მთლიან რესპუბლიკის ოჯახში მყისვე, რაკი ასეთი რესპუბლიკა შეიქმნება (მუხლი 4), მანამდე კი უცხოელები იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონების მფარველობის ქვეშ და მათ ენიჭებათ საქართველოს მოქალაქის ყველა უფლება, გარდა პოლიტიკური უფლებისა (მცირე გამონაკლისით, (მუხლი 15).—საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლების მატარებელი არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა, რომელსაც ეს ხელისუფლება გადაეცა მათმიერ, ვისაც იგი პირველიდგან ეკუთვნის, ე. ი. ქართველი მუშებისა, გლეხებისა და მათგან შემდგარი წითელ არმიელების მიერ (19 მუხლი).—სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა ირჩევს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც არის მაღლი უმაღლესი კანონმდებელი, განმკარგულებელი და მეთვალყურე ორგანო (მუხლ. 23—24).

ამ ძირითადი კანონების შეცვლა შეუძლია მხოლოდ და მარტო საქართველოს საბჭოთა ყრილობას და ჩვენმა კონსტიტუციამ არ იცის სხვა ვინმე საქართველოს ბატონ პატრონი გარდა მისი მუშებისა, გლეხებისა და მუშა-გლეხებისაგან შეიარაღებულ წითელი ჯარისა.

დაწერილი კანონი თვით მკითხველმა დაუპირდაპიროს ცხოვრების რეალობას და გამოიცნოს ამ დროის ჩვენი ასახსნელი, თუ რამდენად ნორმალური და ჯანმრთელი დამოკიდებულება სუფევს კანონსა და ცხოვრებას შუა.—ამ ფრიად საყურადღებო საკითხის ხაზგასმით გადაეცა ამ წერილების საკანს არ შეადგენს და ამისათვის მასზედ არას ვამბობთ. სახელმწიფო სამართლის საუკეოესო მცოდნენი ევროპაში და მათ შორის უდავო ავტორიტეტებით ცნობილნი ინგლისელნი მეცნიერნი ბეჯგეტი და დიისი ამტკიცებდნენ იმ მიმართულების უვარგისობას კანონმდებლობაში, როდესაც სხვა და სხვა კანონები ერთ და იმავე საგნის შესახებ ხშირ ცვლილებადობით უთმობენ ადგილს ერთი მეორეს.—კანონი უნდა იყოს ცხოვრების სინტეზი, მისი ერთგვარი სიმტკიცე და მარადისობა უეშველი პირობაა ცხოვრების საღი მიმდინარეობისადვის.—ესევე ითქმის თვით ზვირთ ჭარბ რევოლიუციონურ ხანაზედაც. ხანგრძლივი რევოლიუცია წარმოუდგენელია ერთგვარ წეს გარეშე მას ამოძრავებს სარევოლიუციო კანონები, რომელიც ჩამოიყალიბება ხოლმე ხანგრძლივი მოქმედებისათვის მტკიცე და ურყევ ფორმებში. თვის ბოლოკივით, რომ კანონი ცვალოთ, კანონის ხელქვეშ ხალხი დაიბნევა, არ ეცოდინება ხამდვილი მისი მოთხოვნა, ვერ აღერკვევა, რომელ კანონს მისდიოს და ემორჩილოს. ეს თუ ითქმის ჩვეულებრივ კანონზე, რომელსაც გაბოლებენ ხოლმე ჩვენში სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო, მით უპრიანე ესევეა სათქმელი ძირითად კანონებზე. ჩვენ მივაწოდეთ მკითხველს რამდენიმე ამონაწერი ადგილები კონსტიტუციიდან ასე ვსთქვათ საბუთად, რომ გვაჩვენებინა მთელი ფუქსავატობა იმ მითქმა-მოთქმისა, რომელსაც ამ ბოლო დროს ზოგიერთა ქარის მაჩვენებელთა წყალობით ფართო მიზანი ეეხსნა ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენ გვწამს ამონაწერი ძირითადი კანონების უსვეობა და გვჯერა, რომ ჩვენი მუშა-გლეხობის საღი გონიერება და მტკიცე ნებისყოფა უეჭველი თავდებია იმისა, რომ ისინი დაიცავენ თავის კონსტიტუციის დედა აზრს, როგორც ჩვენი ცხოვრების ქვაკუთხედს.—კვლავ ვიმეორებთ, რომ ერთად ერთი წყარო და სათავე ჩვენი მიწა-წყლის განკარგულებელი მუშათა და გლეხობათა ყრილობაა და სხვა არავინ.

კონსტიტუციის მეთხუთმეტე თავი დათმობილი აქვს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს. ეს თავი იწყება მე-93 დეკლარატიული მუხლით. „საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკა სცნობს რა“, ამბობს იგი, „რომ რევოლიუციის პროცესში და ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე შექმნილი ურთიერთობის ახალი სახე გამოიხატება კანონში და რომ მას იცავს მოქალაქის უფლებათა მტკიცე დარაჯი—სასამართლო,— საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟას გარდაცვალების 7 წლის შესრულების გამო

ადგილს ერთ სახალხო სასამართლოს რომლის მოქმედება ერთი მუდმივი მოსამართლის და ორი ან ექვსი მორიგი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით ვრცელდება საქალაქო, თუ სამაზრო რაიონის ტერიტორიაზე, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ყველა საქმე ექვემდებარება სახალხო სასამართლოს და არც ერთ სხვა ხელისუფლებას—სასამართლოს ფუნქციები არ ენიჭებათ".

„სახალხო სასამართლოს განაჩენების, გადაწყვეტილებების და მოქმედებათა გამო შეტანილი საჩივარი საკასაციო და კერძო საჩივრების განსახილველად, ადგილთან სახალხო სასამართლოზე უახლოეს კანტროლის გასაწევად მთელი რესპუბლიკისათვის არსებობს მხოლოდ ერთი სახალხო სასამართლოთა საბჭო, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში".

„სახალხო სასამართლოს და სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მოწყობა, საქმეთა განხილვის წესი და საზოგადოთ მთელი მათი კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული დებულებით".

„საქმის გარჩევის დროს სახალხო სასამართლო საქმეს უფარდებს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მიწა-წყალზე მოქმედ დეკრეტებს, იმ შემთხვევაში კი თუ შესაფერი დეკრეტი არ არსებობს—ან თუ ეს დეკრეტი სრული არ არის, სასამართლო ხელმძღვანელობს საბჭოთა კანონმდებლობის დედაარსით ან მით, რასაც უჯარნახებს მას დამოუკიდებელი მოსამართლის სინიდისი", რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სოციალისტურ შეგნებას და პროლეტარულ რევოლიუციის ინტერესებს.

„სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის წესით დადგენილ და კანონიერ ძალაში შესულ განჩენებს და გადწყვეტილებათ ექვთ გარდუვალ აქტების ძალა—ავტორიტეტი და მათი ხელახლად გადაწყვეტა ან გადასინჯვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველით და მასში აღნიშნული წესით.

მიხეილ მღვდლიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა ან სიყალბე ჩაიდინა, როცა განაცხადა, რომ [illegible] ბევრი დაკოვეცის ბაგიანად. ეს მან ჩაიდინა მხოლოდ [illegible] ლი სათანადო სიმტკიცეს ვერ იჩენდა, ხოლო თვით გოცი რამოდენიმე სიტყვის შემდეგ აცხადებდა, რომ ერთად ერთი უარყოფითი თვისება პოლკოვნიკოვისა იყო ის, რომ იგი ძალიან რბილად ეკიდებოდა ბოლშევიკებს. ნაწილად კი პოლკოვნიკოვი დანიშნული იყო იმისათვის, რომ მას კავშირი ქონდა კაზაკებთან. სიყალბეში პირველი ჯგუფის გრალდებულთა მტკიცება იმისა, თითქოს პოკროვსკის ეთქვა, რომ ესერებს არ ყოლებიათ არავითარი შეიარაღებული ძალა. პოკროვსკი ასწორებს ამას და აცხადებს, რომ იგი ყოველთვის ამტკიცებდა ესერების შეიარაღებული ძალების არსებობას. ოქტომბერში მათ ყავდათ კაზაკები და იუნკრები, სამარაში —იქ გაგზავნილი ოფიცრობა და ჩეხოსლოვაკები.

შემდეგ პოკროვსკი ეხება საკოვის სიტყვას და ამბობს, რომ რაკოვი სარგებლობს ძალიან უბრალო მეთოდით: იგი ილებს იმ დოკუმენტს, რომელსაც ეხება მოწინააღმდეგე მხარე, ნელ-ნელა ამპარებს იქიდან ერთ სიტყვას, უმატებს ორს ზედმეტს და ამრიგად ქმნის იგი თავისთვის სასარგებლო ტექსტს. ასე მოექცა რაკოვი პოკროვსკის დოკუმენტს, აშკარა დეკრეტს მეშამფოლეთა კერძო საკუთრების ადგენის შესახებ.

კრილენკოს სიტყვა

მოსკოვი. 31 აგვისტოს სხდომაზე სახელმწიფოებრივი ბრალდებული კრილენკო იწყებს თავის სიტყვას მეორე ჯგუფის დამცველების ფორმალურ წინააღმდეგობათა შესახებ და აცხადებს, რომ მას არ შეუძლია დაეთანხმოს კანონის ისეთ განმარტებას. რომელიც აქ მოიყვანეს მეორე ჯგუფის დამცველებმა. კანონი პირდაპირ და ნათლად ამბობს, თუ რიდს შეუძლია დაუშვას სასამართლოს გამონაკლისი და მიუსაჯოს სულ მცირე სასჯელი, მაგრამ ბრალდებულთა სავსებით გამართლება შეუძლებელია, რადგანაც კანონი შესრულებული უნდა იქნეს.

ეხება რა თვითეული ბრალდებულის დებულებას სათითაოდ, კრილენკო მოითხოვს, რომ ბრალდებულნი დასაჯონ იმ კანონებით, რომელიც მან აღნიშნა თავის საბრალმდებლო სიტყვაში. ეხება რა იუნკერებს, კრილენკო აცხადებს, რომ იგი არ დათანხმება შეუფარნ. „მე შევეჩვიე ამბობს" კრილენკო, ადამიანის იმგვარად შეფასებას, როგორიც არის მისი მოქმედება, ძალიან დიდი ოპტიმისტობა იქნებოდა იმის გაცხადება, რომ ეს პროვინცია არ წარმოადგენს საშიშროებას. მომავალში საშიშროება არსებობს და ზომების მიღებაც არის საჭირო.

შემდეგ ამისა კრილენკო გადის ბილლმანისა და რაკოვის სიტყვაზე. კრილენკო აღნიშნავს, რომ გენდელმანის გაცხადება, თითქოს სისხლის სამართლის საქმეში თვითეული ბრალდებული პასუხისმგებელია მხოლოდ თავის საქმეების შესახებ, არ შეიძლება მივიღოთ ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის. აქ საკითხი ამ გვარად უნდა დავსვათ: უწყებული კოლექტივი ხელმძღვანელობს ადგილობრივი ორგანიზაციებს და აცხადებს, რომ იგი პასუხისმგებელია მის მოქმედებაში და ამ ტომაც კოლექტიურად არის პასუხისმგებელი.

კრილენკო შემდეგ დაწვრილებით და დეტალურად იხილავს პირველი ჯგუფის ბრალდებულთა სიტყვებს და აღნიშნავს მთელ რიგ წინააღმდეგობათ ამ სიტყვებისას. „რა საფუძვლით შეგიძლიათ თქვენ დაამტკიცოთ, ეკითხება კრილენკო პირველ ჯგუფს ბრალდებულებს, რომ მეორე ჯგუფის ბრალდებულები მუდამ ტყუილს ამბობენ. პირიქით ჩვენ გვაქვს მთელი რიგი აშკარა და პირდაპირი გაცხადებისა, რომელთაც თქვენ ვერ უარყოფთ. საჭიროა დაისვას საკითხი დასჯის შესახებ, ხოლო ტრიბუნალის საქმეა გაირკვიოს ამ სასჯელის სიმკაცრეში. მე მხოლოდ და მხოლოდ გამოვდივარ ამ მოქალაქეთა სარგებლიანობის თუ საშიშროების თვალსაზრისისაგან. ეს საკითხი თითქმის უკვე გადაწყვეტილია გოცის, გენდელმანისა და ტრიბუნალის გაცხადებით, რომელთაც აქ სთქვეს, რომ თუ ისინი კვლავ იარსებებენ, ისინი განაგრძობენ ძველებურად

ალმოსავლეთური ჰანგები.

საქართველოს ქნარი თავის არსებობის დასაწყისიდანვე იმ ტონზე ყოფილა მომართული, რომელსაც დღეს აღმოსავლეთურს უწოდებენ, იგი, თავის ელფერით მოადწია მეოცე საუკუნეამდე და აკაკით დაბოლავდა მისი ბუნებრივი ჰარმონიის უკანასკნელი აკორდები... ხსენებულ მგოსნის ლექსები მხოლოდ აღმოსავლეთურ ჰანგებზე ეწყობა, რადგანაც ჩონგურის, თარის და სალამურის ხმებმა უორკეცებენ, ხმას ზეგარდმო ნიჭს და სულით—აღფრთოვანებული, დაფნაღარით უხმობდა ხოლმე თანამგრძნობთ.

ბოლოხნებში ქართველ პოეტებმა უვარჰყვეს აღმოსავლეთი და მშობლიური ქნარი ევროპიულ ფარდებზე მომართე. მხოლოდ გრიშაშვილსდა ეტრფის აღმოსავლეთელი მუზალეილა...

ცნობილი ფილოლოგი პ. უსლარი ასე იწყობს ერთ წერილს ძველ საქართველოს კულტურის შესახებ: „კოლხები წარმოადგენენ დიდ ამოცანურს და ფრიად საინტერესო ხალხს უძველეს დროისას. იმდროს, როდესაც ბერძნები ჯერ ისევ ბარბაროსულ მდგომარეობაში იყვნეს, კოლხები უკვე ეკუთნოდნენ განათლებულ ხალხებს და იხსენებოდნენ თანასწორად ეგვიპტელებისა და ფინიკელებისა. ბერძნები იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ ეგვიპტელებს განათლება კოლხებისგან „გადაეღოთ..." ისტორიის გადმოცემით თვით ბერძნებსაც მცირე აზიიდან გადაჰქონდათ კულტურა და შემუშავების შემდეგ დაისაკუთრებდნენ ხოლმე. ქართულ ხელოვნებით სპარსელებაც სარგებლობდნენ.

შუა საუკუნოებში საქართველო საერთო აღმოსავლეთურ კულტურის ცენტრად იყო გარდაქცეული. მშობლიურ კულტურასთან ვიზანტიურ და სპარსულ—არაბულ კულტურასაც ქონდა ადგილი. მაშინ აღიზარდნენ ქართველ უმაღლეს მოაირეთა შორის სპარსული პოეტებიც, ადგილი უკავიათ სპარსულ პოეზიაში: ხაკანი (1106—1199) შირვანელი და ნიზამი (1141—1203) განჯელი უკანასკნელის პოემები ქართულად გადმოითარგმა: ლეილიმეჯნუნი, ჰაჯთე—ფეიქარი და ფარჰად—შირინი (ხოსროვ—შირინი).

აღმოსავლეთში ქართულ ხმების გავრცელებას, სხვათა შორის ხელს უწყობდა **აბუალი სინაშავ მთიელი** (?). იგი მგზავრობდა: თურანში, სპარსეთში, არაბეთში, ჯორჯისტანში (საქართველო) და აღმოსავლეთის სხვა მხარეებში, სწერდა მრავალ ენებზე: მუსიკა, შაირობა, ვარსკვლავთმეტყველობა, ფილოსოფია, რელიგია, მედიცინა და სხვა.

აბულისინა დაიბადა ქ. ბუხარის მაზრა კარადადში (შავი მთა) 180 წელს. ოსმალელ ენციკლოპედისტ შამსალედდინ სამიბეგის გადმოცემით „აბუალისინა გიაური ყოფილა რის გამოც სამაჰმადიანო ქვეყნებში ბევრჯელ განუზრახავთ მისი მოკვლა" უკანასკნელი აზრი და მისი ბიოგრაფიული ცნობები ორეოფულ აზრს გვიბადავს, რომ აბუალისინაც კავკასიელ ტომთაგანი უნდა იყოს. (იმ დროს ქ. ბუხარაში დიდძალი ქრისტიანობა და ებრაელობა სცხოვრობდა). მისი ეროვნობის შესახებ გადაჭრით ვერავის უთქვამსრა. ზოგი არაბად და ზოგიც სპარსად ასახელებს. სახელწოდებაც მრავალი აქვს: აბუალისინა, ალჰუსეინიბან აბდულაჰ, იბნსინა; (ევროპაში ცნობილი ავიცენნა). მაშინ სამაჰმადიანო ქვეყნებში და ჩვენშიც ბევრ ცნობილ ქრისტიანებს არაბული სახელები ერქვათ: ისა იბანიახი—აბუალისინას მასწავლებელი, ჩვენში ცნობილი **აბდულ მესია—ქრისტეს მონა—შავთელი** (?!) ბერობაში იოანე, როძელმაც დავით აღმაშენებელს ხოტბა უძღვნა (პროფესორ მარრის განმარტებით შავთელის მიერ თქმული ხოტბა დავით აღმაშენებელს ეკუთვნის და არა თამარ მეფეს).

აღმოსავლეთურ ჰანგებს და ლექსთწყობას თავისებური ზომები აქვს, რომელიც არ წააგავს ევროპის ლირიკას. ქართულ ენის მუსიკალობა იმაშია, რომ ჩვენებურ ლექსთ ზომები და მელოდიის ტაქტები ორივ ზემოხსენებულ ჯგუფებს ემხრობა. ეს სიმდიდრე აკლია სხვა ენებს. მე ვერ წარმომიდგენია: ფრანგულ, რუსულ ან გერმანულ ენებზე ბაიათების მღერა ან სპარსულად და არაბულად გადათარგმნილ ფაუსტ-რიგოლეტოები...

ევროპის მუსიკის თეორია ყველასთვის ცნობილია და ამის გამო შევეხები მხოლოდ აღმოსავლეთურ ხმებს (ოქტავის განსხვავებას):

ჩინური 5 ნაწილიანი ოქტავა: 1, 1, $1^1/_2$ 1, $1^1/_2$,

სპარსული 17 ნაწ. ოქტ. $^3/_3$, $^4/_4$, $^3/_3$, $^3/_3$, $^4/_4$.

ქართული 19 ნაწ. ოქტ. $^3/_4$, $^3/_4$, $^2/_4$, $^3/_4$, $^3/_4$, $^2/_4$, $^3/_4$.

ბერძნული 21 ნაწ. ოქტ. 7 ფუძე, 7 დიეზი და 7 ბემოლი.

ინდოეთური 22 ნაწ. ოქტ. $^4/_4$, $^3/_4$, $^2/_4$, $^4/_4$, $^4/_4$, $^3/_4$, $^2/_4$.

ჩინური ხმები მოგვყავს, როგორც აღმოსავლეთის მუსიკის დედაბოძი ანუ დასაბამი. ჩინელები თორმეტ ნაწილიან ოქტავას წელიწადს (12 თვეს) უწოდებენ.

სპარსულ ხელოვნების ყოველი დარგი უძველეს დროიდანვე ჩინურ ზეგავლენას განიცდიდა. არაბებმა სპარსული 17 ნაწილიანი თეორია მიიღეს და ზოგი ხმები ქართულს მიამზგავსეს (შესცვალეს). სპარსულ-არაბულ თეორიაში (გამმა) უმთავრესი ოთხი ხმაა.

შურ—a, h c, d, e, f, g, a.

ჰუმაიუნ —a, b, cis, d, e, f, g, a.

ზაბილ—g, as h, c, d, e, fis, g.

რასტ—c, d, e, f, g, a, b, (h), c.

უკანასკნელ გამმის საშობლო საქართველო უნდა ჩაითვალოს.

უძველესი ბერძნული ინტერვალები, შემდეგში ე. წ. საეკლესიო ხმებად შეიცვალა: იონიური, დორიული, ფრიგიული, ეოლიური და სხვა. ეს ტერმინები მცირე აზიელ ერების სახელებია მაგალითად: იონია—საქართველო, ფრიგია—სასომხეთი და სხ...

ინდოეთური მთელი ხმები 3 ან 4 სრუთად იყოფა და ნახევარი ხმები კი ორად (ზემო მოყვანილი ციფრები არ მიამსგავსოდ ევროპის მუსიკის ტემპერაციას).

საქართველოს მუსიკის ხმებიც ქართულ ანბანისაებ მდიდარია თავის მრავალფეროვანობით. 19 ნაწილიანი ოქტავა ქორონიკონის ანგარიშზეა მოწყობილი (19×28=532). ამ ინტერვალებზე მღერიან ჩვენი მეზობელი ერებიც. ქართულ მენზურაზე ეწყობა (გეგზამეტრის ანგარიშზე) ევროპიული და აღმოსავლეთური ჰანგები და ლექსთ ფორმები, მაგრამ ქართულ ჰანგებს ელფერი ეკარგებაც, როდესაც ევროპიულ ჰარმონიას უმორჩილებენ. ქართულ ხმებს თავისებური შეწყობილება აქვს და მხოლოდ შეუშავება სჭირია; მივაქციოდ ყურადღება და ავალორძინოდ ქართული ჰარმონია საერთოდ აღმოსავლეთურ ჰანგებისათვინ.

ალ. ოლანეზაშვილი.

ესერების პროცესი

პოკროვსკი აცხადებს, რომ მან უნდა სიტყვა სთქვას, რათა შეიტანოს ზოგიერთი ფაქტიური შესწორებანი იმ დასაცავ სიტყვებში, რომელიც ეხებოდენ პოკროვსკის საბრალმდებლო სიტყვებს. პირველი შესწორება შეეხება გოცის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ოქტომბრის გადატრიალება და, კიდევ მეტი, სამარის გადატრიალება მოხდა საგანგებით მოფიქრებულად ესერებისათვის. პოკროვსკი უარყოფს ამ დებულებას და აღნიშნავს, რომ ეს მტკიცება მას ეგონებს „სინიბ ბოროდის" ერთ არიას როდესაც იგი დიდის უმანკოებით მღერის; მე ალარა მყავს ჩემი ცოლი, მაშინ როდესაც თვით მან მოწამლა, იგი. გო-

მოქმედებას და მუშაობას და მათგან ვერ ეღირსებით ვერც უარყოფასა და ვერც მონანიებას. ასეთ განცხადების შემდეგ უნდა დაისვას თუ არა საკითხი უმაღლესი სასჯელის შესახებ? შეიძლება თუ არა დაისვას სხვანაირად საკითხი? გვიპასუხეთ გარკვეულად: თუ თვალს გადავავლებთ იმას, რაც წარსულში იყო, ჩვენ დავინახავთ—პეტროგრადს, იუნკრების აჯანყებას—სისხლს. მოსკოვს—ოქტომბრის რევოლუციის—სისხლს, ტამბოვს, კრონშტადს—კიდევ და კიდევ სისხლს. სადაც ერთ უნდა მივიხედოთ ერთი და იგივე სურათს შევხვდებით მომავალშიც იგივე იქნება, რაც იყო წარსულში. ეი რატომ სრულებით. დამშვიდებული, რომ მომავალში ადგილი აღარ ექნეს სისხლს, ან და რომ ეს სისხლი უფრო ცოტა იქნეს, იგი უნდა დანახულ იქნეს აქ".

გერმანიის ამბები

გერმანიის მუშათა შორის.

მოსკოვი. 7 აგვისტო. შუა გერმანიის საალმშენებლო მრეწველობის წარმომადგენლებმა უარყვეს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება გელფასის გადიდების შესახებ. საალმშენებლო წარმოებათა მუშათა კავშირმა დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვები.

გერმანიის რკინის გზელთა შორის. მოსკოვი 7 აგვისტო. ფრანკფურტში მოხდა რკინის გზელთა მომავალ ყრილობის კანდიტატების არჩევნები. არჩეულია 7 კანდიდატი—კომუნისტი. ორივე სოციალისტურმა პარტიების კანდიდატებმა სამჯერ ნაკლები ხმა მიიღეს. ყრილობაზე ფრანკფურტიდან ინიშნებიან წარმომადგენელნი მხოლოდ კომუნისტები.

კომუნისტების გამარჯვება.

მოსკოვი 7 აგვისტო. კომუნალურ მერრნეობის ყრილობის არჩევნების დროს ბერლინში ამორჩეულია 25 კანდიდატიდან 20 კომუნისტი.

კრების დევნა.

მოსკოვი 7 აგვისტო. გაზ.„ ლოკალ ანცეიგერად"აიხურა გერმანიის ხელისუფლების მიერ, მიუხედავად მიღებულ კორესპონდენციის მოთავსებისათვის, რომელიც იუწყებოდა, რომ თითქოს ბერლინში გაიმართა დამოუკიდებელთა და კომუნისტების კომისიის საიდუმლო სხდომა საბჭოთა რუსეთის 2 წარმომადგენლის თანადასწრობით. კორესპონდენცია ბრალს სდებდა გერმანიის მთავრობას მემარჯვენეთა განიარაღებაში რევოლიუციის ხელის შესაწყობად.

რესპუბლიკის დაცვის კანონი.

მოსკოვი 7 აგვისტო ბერლინიდან იტყობინებიან ამ უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვს რამდენიმე შემთხვევას როდესაც მემარცხენე პარტიების წინააღმდეგ იყენებენ რესპუბლიკის დაცვის კანონებს. მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო „სასამართლოს დევნა კომუნისტების წინააღმდეგ. გაზეთები დაიხურა და სწარმოებს კომუნისტების გამომცემლობათა ჩხრეკა.

სარეპარაციო პრობლემა

მოსკოვი 7 აგვისტო. ლოიდ-ჯორჯმა პარლამენტში წარმოსთქვა სიტყვა რომელიც ეხებოდა სარეპარაციო პრობლემას. მან აღნიშნა, რომ მოკავშირეთა მკაცრი მოპყრობა გერმანიისადმი შეუძლია მიიყვანოს გერმანია სასოწარკვეთილება მაშინ ძალაუფლება გადავა ან რეაქციონერების ან კომუნისტების ხელში. გერმანიის რევოლიუცია განსხვავდებოდა რუსეთის რევოლიუციისაგან, ვინაიდან ჩინებულად მოწყობილ ქვეყანაში მას მოახდენდა დიდი დისციპლინის ხალხი. ინგლისი გაილაშქრებს ყველა ისეთ წინადადებათა წინააღმდეგ, რომელიც გაამწვავებს ევროპის კრიზისს. არიტანეთის მთავრობა საჭიროდ სთვლის გერმანიას მოეპყრას ლმობიერად, ხოლო საფრანგეთს სამართლიანად, მაგრამ საჭიროა აგრეთვე ინგლისის ხალხისადმი სამართლიანი მოპყრობა.

ნაუენი. 7 აგვისტო. საზღვაგარეთის ძვირფას საქონელზე ფასების აწევამ გამოიწვია გერმანიაში სურსათ სანოვაგეზე ფასების აწევა. ბორბილის ფასმა აიწია 1,000 მარკიდან 1700 მარკამდე—50 კილოგრამზე. ქვავმა 850-დან 1060 მარკამდე. ინდოეთის ქვავმა 825-დან 1360 მარკამდე.

სარკინისგზო კრიზისი.

ნაუენი. 7 აგვისტო. გერმანიის რკინის გზებმა შეისყიდა მოძრაობის ნორმალური მსვლელობისათვის 100.000 ტონი ნახშირი. რკინის გზის სამმართველო მოელის მოძრაობის შეჩერებას, რადგან საზღვარ-გარეთიდან ნახშირის შემოტანა შეუძლებელი ხდება.

უცხოეთი

ანიხტია საფრანგეთში.

მოსკოვი. აგვისტოს 7-ს მთავრობის მიერ გამოცხადებული ამნისტია ვრცელდება 44 საჰხედრო დამნაშავეებს. ბადინზედაც ვრცელდება იგი, მაგრამ განთავისუფლებული არ იქნება ვინაიდან მისი ფლოტში სამსახურის ვადა არ გასულა.

ლიბერალური პრესაც ახასიათებს ამ ამნისტიას, როგორც კაპიტულიაციას სოციალისტურ ფრაქციასა და ნაციონალურ ბლოკისადმი.

გერმანიის პასუხი.

ნაუენი. აგვისტოს 7 ს გერმანიის საპასუხო ნოტაში აღნიშნულია ის განსხვავება, რომელიც არსებობს საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოთა თვალსაზრისის შორის, ნოტაში აგრეთვე გამოთქმულია იმედი იმისა, რომ კონტროლიუციის საკითხი გადასინჯული იქნება მომავალ მარტამდე და რომ საფრანგეთის მთავრობა არ მიმართავს „სანქციების" ზომას მანამდის, სანამ არ გამოიკვლევა შედეგები ლონდონის თათბირისა, მიუხედავად ყოველივე ამისა, გერმანია მაინც იძლევა პირობას შეასრულოს ყველა თავისი ვალდებულებანი შეძლებისდაგვარად.

მთავრობას იცავენ.

ნაუენი. აგვისტოს 7-ს გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ პირველად, დიდხნის შემდეგ, ყველა პოლიტიკური პარტიები გაერთიანდნენ მთავრობის დასაცავ დ.

ინგლისი და პუანკარეს ნოტა.

ნაუენი. აგვისტოს 7-ს ლონდონის პოლიტიკური წრეები თავდაჭერილობით ეკ დებიან პუანკარეს უკანასკნელ ნოტას. პრესა კი იხილავს მას მხოლოდ უფლებრივობის თვალსაზრისით და უარყოფს საფრანგეთის ბოლოებას, რეინლანდში მყოფ გერმანელების ქონების სეკვესტრობას.

მოწოდება ხალხისადმი.

მოსკოვი. აგვისტოს 7-ს გერმანიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს პუანკარეს საპასუხო ნოტის გაგზავნასთან ერთად მიმართოს გერმანიის ხალხს მოწოდებით განაცხადონ პროტესტი საფრანგეთის ძალადობის წინააღმდეგ

რეპრესიები

ბონრდო. აგვისტოს 7-ს ულტიმატუმის შესასრულებლად პუანკარემ ბრძანება გასცა შემოიღონ დაუყოვნებლივ „სანქციების" პირველი ხუთი მუხლი: 1. პარიზისა და სტრასბურგის დაწესებულებებში გერმანიის აკრედიციის ცნობის გადადება, 2. საფრანგეთში გერმანელების ქონების ლიკვიდაციისთვის კუთვნილი თანხების გადადის აკრძალვა, 3. საფრანგეთში გერმანიის ქონების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილ ნაწილების გერმანიისათვის გადაცემის გაუქმება, 4 ელზას-ლოტარინგიაში გერმანელებისათვის მათი მოძრავი ქონების გადაცემის შეჩერება და 5. ელზას-ლოტარინგიაში სეკვესტრის ზომების შემოღება.

საკონტრიბუცია კომისიაში

ბონრდო. აგვისტოს 7 ს ერდბერგის რეზოლიუცია, რომელსაც დღეს იხილავენ საკონტრიბუციო კომისიაში, გულისხმობს, რომ გერმანიის ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს გერმანიის 1922 წლის გადახედვა გაუქმებას, შემდეგ რეზოლიუცია წინადადებას აძლევს მოკავშირეთ გაუქმონ ყველა საკომპენსაციო გადახდანი. იმ პირობით, თუ გერმანია ყოველთვიურად გადაიხდის 500 ათას გირვანქა სტერლინგს და რომ კომისია აწესებს 1923 და 1924 წლისათვის გერმანიის გადასახდათა რაოდენობას.

რეზოლიუცია არ მიიღო.

ბონრდო. 7 აგვისტო. საკონტრიბუციო კომისიამ 3 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ ერთისა დაადგინა გადასდოს ბრუქსელის რეზოლიუციის განხილვა.

საფინანსო საკითხი.

ბონრდო. 7 აგვისტო. გაზ. „პტი ჟურნალი" მოითხოვს გერმანიის ფულების დეფორმაციას, რომელიც საგანგებით განსახორციელებელი იქნება თუ მხედველობაში მივიღებთ ინფლიციის მაგალითს.

მოლაპარაკება ბავარიის შესახებ.

ბონრდო. 7 აგვისტო. ბერლინში ბავარიის პასუხის მიღებისთანავე, პრეზიდენტ ებერტმა კანცლერ ვირტის თანხმობით წინადადება მისცა ბავარიას, ბერლინში ბავარიის რწმუნებულის საშვალებით, დაიწყონ მოლაპარაკება მიუნხენში ბერლინის წარმომადგენელთან. მოლაპარაკება დაიწყო გუშინ და მომავალში გაგრძელდება ბერლინში.

თეთრი ტერორის მუქარა.

ბონრდო. 7 აგვისტო. ლეიპციგიდან მიღებული ცნობების თანახმად, ინალეგალურ ნაციონალისტური ორგანიზაციის მიერ სიკვდილით, დასჯა მისჯილი აქვს ხვათა შორის პროფესორ ეინშტეინს.

მემარჯვეთა შორის.

ბონრდო 7 აგვისტო. ფრანკფურტში დაიწყო მუშაობა მემარჯვეთა საერთაშორისო კონგრესის აღმასკომმა. იგი განიხილავს საკითხს, თუ როგორია დამოკიდებულება ქრისტიან მემარჯვეების ინტერნაციონალსა, რომელიც დაარსდა ანსბურგში და მემარჯვეთა საერთაშორისო ფედერაციის შორის.

ტიფი ბერძნების ჯარებს შორის.

ბონრდო 7 აგვისტო. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ჩატალჯათან მდგომ ბერძნების ჯარში გაჩნდა ტიფის ეპიდემია.

მოკავშირენი და ხაბერძნეთი.

ბონრდო. 7 აგვისტო. მოკავშირეთა მზადება დამთავრდა. ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს პოზიციები და წინადადება მისცეს ბერძნებს განსაზღვრონ ნეიტრალური ზონა.

ბერძნები უკან იხევენ.

ბონრდო. 7 აგვისტო. ბერძნების ჯარების მთავარ-სარდალმა აცნობა მოკავშირეებს, რომ ბერძნების ჯარები სადემარკაციო ხაზიდან სამი კილომეტრით უკან იხევენ

ნეიტრალური ზონა

ბონრდო. 7 აგვისტო. ბერძნების ჯარების სარდალმა ვლეხოპულოსმა ინახულა იტალიის რაზმის სარდალი მომბელი ნეიტრალური ზონის საკითხის გამოსარკვევად.

ეხმაღეთის პროტესტი.

ნაუენი. 7 აგვისტო. ოსმალეთის მთავრობამ გადასცა მოკავშირე სახელმწიფოთ ნოტა, რომელშიც იგი პროტესტ აცხადებს ბერძნების მიერ სმირნაში გამოკეთებულ პროკლამაციის წინააღმდეგ.

მოითხოვენ ბერძნებისა ჯარების შემცირებას.

ნაუენი. 7 აგვისტო. საფრანგეთმა მიმართა ინგლისსა და იტალიას წინადადებით დაუჭირონ მხარი მის მოთხოვნილებას ფრაკიაში ბერძნების ჯარების რიცხვის შემცირების შესახებ.

ბერძნები უარყოფენ.

ბონრდო. 7 აგვისტო. ბერძნების ცნობა უარყოფს ხმებს, თითქოს ქალაქი აიდანი დაეწვათ ბერძნებს.

ნახშირის წარმოებას დაცემა.

ნაუენი. 7 აგვისტო. ზემო-სილეზიის, გერმანიასა და პოლონეთის შორის გაწყვეტილების გამო, ივლისის განმავლობაში ნახშირის წარმოების ნაყოფიერება დაეცა 25%.

პარლამენტის წრეებში.

ბონრდო. 7 აგვისტო. გაზ. „მატენის" ცნობით ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის არსებული კონფლიქტი დიდ მღელვარებას იწვევს პარლამენტის წრეებში. დეპუტატებს მდგომარეობა სერიოზულათ მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ საჭიროა სასწრაფო და ენერგიული ზომების მიღება, გავრცელდა ხმები, რომ სოციალისტებს განზრახვა აქვთ თავი დანებონ ყველა საზოგადოებრივ თანამდებობათ.

ფაქტას თხოვნა.

ბონრდო. 7 აგვისტო. ფაქტამ პრესის წარმომადგენელებს სთხოვა ნუ გაძლიერებენ დასურათებას იტალიაში არსებულ სერიოზული მდგომარეობისას და ამით დახმარება გაუწიონ იტალიის მთავრობას.

სოციალისტები თავს ანებებენ თანამდებობათ

რომი. 7 აგვისტო, ლივორნოში ქალაქის თავი და გამგეობის წევრები, სოციალისტური პარტიის წევრები გადადგენ, ფიქრობენ, რომ პროვინციებში სოციალისტები, კომუნალურ მმართველობათა ყველა წევრები, აგრეთვე გადადგებიან.

შანცერის გამგზავრება.

რომი. 7 აგვისტო. გერმანიაში საქმეთა მინისტრი შანცერი ლონდონს გაემგზავრა.

დახმარება ყირიმს.

რომი. 7 აგვისტო. სტამბოლიდან გემ „მალიციაზე" გამოემგზავრა ყირიმში რუსეთის დამშეულთა დამხმარე პაპის მისია.

ტყვეთა და ხიშტებით.

ბონრდო. 7 აგვისტო. რომიდან მიღებული ცნობებით მტკიცდება, რომ გენუაში, მილანსა, ანკონასა, პარმსა და ლივორნოში მთელი ძალაუფლება გადასცეს საჰხედრო ნაწილს, ძალაუფლება იქნ ბა საჰხედრო ნაწილის ხელში ძანამდის, სანამ საბოლოოდ არ იქნება აღდგენილი წესიერება ამ რაიონებში.

რასიონტის პალატაციის დარბევა.

ნაუენი. 7 აგვისტო. რავენაში რასიონტის პალატაცი, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. როგორც ისეთ ადგილს, სადაც ცნობილი ბაირონი ცხოვრობდა, ფაშისტებსა და სოსოციალისტების უკანასკნელი შეტაკების დროს დანგრეულ იქნა.

ფაშისტების ხულიგნობა.

კრაუდენა. მილანში ფაშისტები თავს დესხენ გაზ. „ავანტის" რედაქციას და დასწვეს სტამბა. საქმეში ჩაერია პოლიცია და ჯარი. გაიმართა ბრძოლა. მოკლულ იქნა 2 ფაშისტი და ერთი ჯარისკაცი. გენუაში ფაშისტებმა დაიკავეს სან-ჯიორჯიოს სასახლე. ბრძოლა გრძელდება.

მბეჭდავთა გაფიცვა ინგლისში.

მოსკოვი. 7 აგვისტო. პირმინგამში მბეჭდავთა გაფიცვის გამო გამოვიდა მხოლოდ ერთი გაზეთი 4 გვერდით, ლინკოლნშიდაც ერთი გაზეთი გამოვიდა, მხოლოდ ერთ გვერდი.

პოლონეთის კაბინეტი.

მოსკოვი. 7 აგვისტო. ვარშავიდან იიღებული ცნობის თანახმად პოლონეთის სეიმმა 50 ხმის თმრავლესობით ნდობა გამოუცხადა ნოვაკის კაბინეტს.

არეულობა იტალიაში.

მოსკოვმ. 7 აგვისტო. რომის პრესა იტყობინება პროვინციებში მოხდა ახალ არეულობათა შესახებ ვარშა მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და ჯარს შორის. მოკლულია 2 კაცი და დაჭრილია 100.

ნუ თუ ასეა?

ბონრდო. 7 აგვისტო. ლლოიდ-ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ სდგება დიდი საჰაერო ფლოტილია... სავაჭრო მიზნებისათვის.

ლონდონის თათბირი.

ბონრდო. 7 აგვისტო. 6 აგვისტოს საღამოს ლონდონში ჩავიდნენ, პუანკარე, ლასტერი, ცანტერი, ფენისე და ფასპარი პირველი სხდომა გაიმართება 7 აგვისტოს, მანამდის პუანკარესა და ფენისს ექნებათ თათბირი კომპენსაციების შესახებ.

გერმანია და რუსეთი.

მოსკოვი. აგვისტოს 7-ს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში კრასტინსკიმ ჩაბარა თავისი რწმუნების ბარათი გერმანიის მთავრობას, რომლის დროსაც მან სიტყვა წარმოსთქვა. მან აღნიშნა, რომ [illegible] მეზობლობის აღორძინებისათვის საკირო ნორმალური [illegible] ურთიერთობის აღდგენა. რაპალოს ხელშეკრულების შემდეგ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა ფიქრობს, რომ შემდეგ ნაბიჯათ, რომელიც შეეფერება ორივე რესპუბლიკის საერთო ინტერესებს, უნდა ჩაითვალოს უკვე დადებულ ხელშეკრულებათა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებზედაც გავრცელდება, რომელნიც შეკავშირებულნი არიან ერთ მთლიან მუშურ-გლეხურ კავშირში „ჩემ მთავრობას, განაცხადა კრასტინსკიმ, აგრეთვე სასურველად მიაჩნია გერმანიასა და რუსეთის შორის და აგრეთვე მის მეზობელ რესპუბლიკებთან, საგანგებო ხელშეკრულების დადება, რომელიც გააცხადებდა და გაადრმავებდა ეკონომიურ კავშირს მათ შორის. საპასუხო სიტყვაში პრეზიდენტ ებერტმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობას გულწრფელადა სურს დახმარება აღმოუჩინოს ორივ ამ რესპუბლიკათა აღორძინების საქმეს, „მე, უერთდები თქვენ მიერ წამოყენებულ დებულებას, თქვა ებერტმა, რომ სასწრაფოდ იმავ ხაფუძვლებზე დადებულ იქნას (დამახინჯებულია).. ურთიერთ ეკონომიური მუშაობისათვის. დარწმუნებული იყავთ, რომ თქვენი მისწრაფება ამ ორ რესპუბლიკათა შორის ურთიერთი დახმარების და სამეზობლო კავშირის განმტკიცების საქმეში, შეხვდებიან გერმანიის მხრივ ყოველგვარ დ ხმარებას.

ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობა

მოსკოვი 7 აგ. საქონლების გზავნა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე არ სწყდება. საერთო აზრი ისეთია, რომ ბაზრობა მეტად ნაყოფიერი იქნება და ძლიერ დიდ როლს ითამაშებს ნორმალურ საგაჭრო ურთიერთობის მოწყობაში. ბაზრობა განმტკიცებს კავშირს ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

საგაჭრო წარმომადგენლების თათბირი.

მოსკოვი. აგვისტოს 7-ს სრულიად რუსეთის საგაჭრო წარმოებათა წარმომადგენლების თათბირი დანიშნულია ნიჟნი-ნოვგოროდში 25 აგვისტოსთვის ბაზრობის დროს.

საბჭოთა მუშათა საერთაშორისო კონგრესზე.

მოსკოვი. აგვისტოს 7 ს რუსეთის საბჭოთა მუშათა კავშირის ეკეკმ გაგზავნა ამხ. კოლინინი დელეგატად საბჭოთმუშების საერთაშორისო კონგრესზე ფრანკფურტში.

საბჭოთ მუშათ საერთაშორისო კავშირი

მოსკოვი, 7 აგვისტო პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მიმართა მოწოდებით საბჭოთ მუშათა საერთაშორისო კონგრესს, რომელშიც იგი აღნიშნავს გიგანტიურ კოხფლიქტს ამერიკის ნახშირის მრეწველობაში და მიუთითებს ყველა ქვეყნის საბჭოთ მუშათა კავშირთანების აუცილებლობაზე, მიუხედავად მათი პოლიტიკური რწმენისა. მოწოდებაში აგრეთვე აღნიშნულია აუცილებლობა (დამახინჯებულია) საერთაშორისო გაერთიანების კლასიური პოლიტიკისა, რომელიც გამოხატება საერთაშორისო მასშტაბით საბჭოთ მუშათა ბრძოლის ხელმძღვანელობაში.

ჩიჩერინს ხახელობის ქუჩა

მოსკოვი, 7 აგვისტო. ბორეზმინსკის (ხივის) რესპუბლიკის სატახტო ქალაქში ერთ ქუჩას ჩიჩერინის სახელი უწოდეს. ამის გამო ხივის მშრომელთა საბჭოების ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის მთელი ქვეყნის დაჩაგრულთა ინტერესებისათვის მებრძოლს ამხ. ჩიჩერინს.

ახალი ამბები

— დღეს საღამოს 6 სიათზე დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება პანაშვიდი ვაჟა-ფშაველას საფლავზე მისი 7 წლის გარდაცვალების თავზე.

— **შინ. საქ. ხახ. კომისარიატი** შედგენილია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გასული ნახევარი წლის ანგარიში, რომელიც წარმოდგენილი იქნება საქართვ. (ცენტ. აღმ. კომიტეტში, სახალხო კომისართა საბჭოში და ცენტ. კ. კ. 3

— **გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი:** დავკარგე მოწმობა მოცემული

სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის, მოწმობა მოცემული სამხ. სამ. კომისარიატის მიერ და მოწმობა მოცემული ქუთაისის მონადირეთა კავშირის მიერ ვიქტორ ქორქაშვილის სახელობაზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

— **სამეცნიერო წარვლინება.** ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ინ. ბაბოვი წარდგენილია ამიერკავკასიის რკ. გზათა ორთქლმავლეაის მეცნიერულად გამოსაკვლევად.

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: დაკარგე მოწმობამოცემული სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფიური დარგის მიერ დადაში გელოვანის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პარტიაში

ხუთშაბათს 10 აგვისტოს სად. 7 ს. დანიშნული ახალ გზადათა კავშირის სხდომა დასწრება წევრებისათვის სავალდებულია.

პრეზიდიუმი.

პროვინციის ცხოვრება

ბორჯომის რაიონში საკურორტო ცხოვრება. სანოვაგის ფასები სეზონის დასაწყისთან შედარებით ბორჯომის რაიონის კურორტებში საგრძნობლად გაიზარდა და მომავალშიაც მომატების ტენდენცია ემჩნევა. რძე, რომელიც სეზონის დასაწყისში 5000 მან. ლირდა, გაიზარდა 15,000 მ. წალვერში ბირვანქა თეთრი პური ლირს 12—15000 მან წითელი 8000 მ. კარაქი 65,000 მ. ძროხის ხორცი 18000 მ, ცხვრის ხორცი—25,000 მან., თოფული—45000, ნავთი—10—15000 მ. ბაკურიანში ცხვრის ხორცი—18000 მ., ძროხის ხორცი არ მოიპოვება, კარაქი—50—55000 მ. პურზე და სხვ. პროდუქტებზე წალვერის ფასებია.

ელექტროფიკაცია. ორი კვირა შესრულდა რაც წალვერში პირველმა ელექტრონის სადგურმა დაიწყო მუშაობა. სადგური სარგებლობს თეთრი ნახშირით. სადგური ჯერ-ჯერობით იძლევა 110 ვოლტიან 75000 სანთლის ენერგიას. მოთხოვნილება ენერგიაზე დიდია. მახლობელი სოფლები ერთი მეორეზე შუამდგომლობენ მათთვის ელექტრონის გაყვანას. ახლო მომავალში ფიქრობენ სადგურის გაფართოებას. სადგური გაშენებულია წალვერის ტყის მმართველობის მიერ ადგილობრივ კომიჩეიკის ინიციატივით. კომიჩეიკა ყველა მუშაობაში ცხოველ მონაწილეობას დებულობდა. სადგურის მოწყობა სულ დაჯდა 750 მილ. მან. ქართული ბოხებით. ნაღდი ფულით დაახჯ ბხოლოდ 10 პროც. ხსენებულ თანხისა. 20 მილიონის მოწყობილობა მიღებულია კერძო პირთაგან წალვერის ტყის სამაგიეროდ.

ბორჯომის სახალხო მაბულის მიერ გამოგზავნილი ტურბინა, დინამო და სხვა მასალები, შეადგენს ღირებულების 85 პროც. 5 პროც. შეავსებს ადგილობრივ გლეხების მიერ, კომიჩეიკის მეთაურობით, უსასყიდლოდ შესრულებული ჰიდრო-ტექნიკური მუშაობა.

საუფლო სკოლა. ტფილისში გაიგზავნა პირველი ჯგუფი ბავშვებისა, განათლების და ხელოვნების კავშირის წევრთა, რომელნიც ცხოვრობენ წალვერის საუფლო სკოლაში. ნაწილი ბავშვებისა, რომელთაც არ შესრულებიათ კურორტზე დარჩენის ვადა, დატოვებულ იქნა.

წყალდიდობის შემდეგ. წყალდიდობის მიერ დანგრეული შენობები უკვე აღდგენილია. 30 ივლის ელექტრონის აბანოებმა დაიწყეს მუშაობა. ევკენიევს აბანოს აღსადგენად მუშაობა ცოცხლად მიმდინარეობს, თუმცა ჯერ კიდევ დიდ შრომას მოითხოვს. ენერგიულად სწარმოებს მუშაობა ხიდების შესაკეთებლად და ნაპირის გასამაგრებლად. საუბედუროთ მუშაობს ხელს უშლის მუშა ხელისა და მასალების (ცემენტი კირი და სხვ.) სიმცირე.

ბათუმი. ბათუმის პორტში მოვიდა გერმანიის გემი „ბოსფორი“, რომელიც სამშაბათს უკანე წავა კონსტანტინოპოლით გამბურგში. ეს გემი გამოსაღებია. აგრეთვე სამგზავრითაც. გამბურგამდე ბილეთი, სურსათის ჩარიცხვით, ღირს 30 ფ. სტერლინგი გემს გზაში მოუნდება ხუთი კვირა.

მუშათა კლუბი. რკინის გზელთა მეცადინეობით გაიხსნა ჯულაშვილის—სტალინის სახელობის ახალი მუშათა კლუბი. ამხ. სტალინს მოსკოვში გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

გემები. მოვიდა სოჩაში იტალიის ფლაგით გემი „მანსო“ 2325 839 კილოგრამი ტვირთით, კონსტანტინოპოლიდან—საფრანგეთის ფლაგით „ტალლა“ 13,481 ფუთი ტვირთით და 16 მგზავრით.

გორის მაზრის დათვალიერება. ზოგიერთ თემებში შექმნილ მდგომარეობის გასაცნობად, აღმასკომის წევრებმა მოიარეს მთელი მაზრა. დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ბევრი ვენახები, ხეხილის ბაღებში და ნათესებში მიტოვებულია მოუვლელად.

კავთისხევის თემში გლეხების ინიციატივით შედგენილია არტელი, რომელმაც დაიმუშავა 100 დეს მიწა. მიმდინარე წელს ეს მიწები დათესილი იყო იმ სათესლე მასალით, რომელიც მიაწოდა გლეხებს თესვის კომისიამ. ასეთი პერიოდული მოგზაურობა დათვალიერება მეტად საჭიროა ყველა იმ ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად, რომელიც ხშირი მოვლენად გადაიქცა სხვა და სხვა თემებსა და სოფლებში.

ბრძოლა სიმშილოგასთან

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის მიერ 22 ივლისიდან სხვა და სხვა დამშეულთა მაზრებს შორის დამშეულთა დასარიგებლად განაწილებული ხორბლეულობა

1. 22 ივლისს, განაწილდა მთავარ კომიტეტის მიერ ბათომში შესყიდული 10,000 ფუთი ქვაში და გადაეგზავნა შემდეგ მაზრებს:

1. ახალქალაქის მაზრას— — 2 ვაგ.	4. ზუგდიდის— — „ — — 1 „
2. სენაკის— — „ — — 2 „	5. ქუთაისის— — „ — — 2 „
3. ოზურგეთის „ — — 2 „	6. შორაპნის— — „ — — 3 „

—(ამათში არხნე მომუშავეთათვის ყვირილაში —1 ვაგონი, ხარაგოულის თემს—1 ვაგონი და სხვა დამშეულებს—1 ვაგონი) სულ 12 ვაგონი

2. 25 ივლისს, განაწილდა და საჩქაროთ გადაეგზავნება მთავარ კომიტეტის მიერ კახეთში შესყიდული 6,000 ფუთი ხორბალი:

1. რაჭის მაზრას — — — 3000 ფ.	3. ქუთაისის მაზრას — — 1000 ფ.
2. ზუგდიდის „ — — — 1000 „	3. ოზურგეთის „ — — 1000 „

სულ 6.000 ფუთი

1. ქუთაისის მაზრას— — — — — — — —	2000 ფუთი
2. ოზურგეთის „ — — — — — — — —	500 „
	სულ 2500 „

4. 30 ივლისს, განაწილდა და დაეგზავნა ფოთიდან 7500 ფუთი სიმინდი მთავარ კომიტეტის მიერ სოხუმში შესყიდული.

1, რაჭის მაზრას — — 2500 ფ.	2. ოზურგეთის მაზრა — 3000 ფ.
3. სენაკის „ — — — 1000 „	4. ზუგდიდის „ — 1000 „

სულ — — — 7500 ფუთი

მთავარი კომიტეტის მდივანი

მოწერილი ამბები

დღეგანდელი მდგომარეობა საქართველოს სამხედრო გზის და იქ მცხოვრებთ მთიულ-მოხევეთა

მკითხველს კარგად წარმოდგენილი აქვს სამხედრო გზის არსებობა რომელიც არის ფრიად მნიშვნელოვანი ყოველი მხრით. ის ერთებს ტფილისს-კავკასს ე. ი. ჩრდილო „კავკასიას, რუსეთს და ამიერ-კავკასიას, და ცხადია თუ რა მნიშვნელობა აქვს მის დაწინაურებასა და მიმოსვლის სრულიად შეწყვეტას. ამ უკანასკნელ თვეებში დიდი ავდრიანობის და ნიღვრობის გამო სრულიად დაზიანებულია ლიანდაგი, როგორც ჯვრის უღელ-ტეხილის იქით, ისე აქეთ. მაგალითად; ღულოში ოსები სცხოვრობენ წამოღებულია ორი სახლი სრულიად, სოფლის წისქვილები, ხიდები, მლეთში წამოღებულია სადგომი ეზო დიდ შენობებით, გაფუჭებულია ბევრი ჭირნახული, მამულები. ლიანდაგი დაზიანებულია სადგურ ანანურის იქით მე-17 ტე ვერ. ე. ი. 83 ვ. სოფელ ლარსამდე ე. ი. საქართველოს საზღვრამდე. დაზიანებულია აგრეთვე ყაზბეგის რკინის ხიდი, როშელსაც მრისხანე თერგმა მთლად გამოუთხარა მარცხენა მხრის კედელი. გზა ეს მეორე წელიწადია სრულიად უპატრონოდ არის მიტოვებული. არც მუშა, არც გზის შემკეთებელი, არც ტეხნიკი და არც ინჟინერი, რომელნიც საცხოვრებლად წინეთ და ბიფასანაურში იმყოფებოდა. აღარ არსებობს აგრეთვე მუშების თავშესაფარი კაზარმები და სადარაჯოები, რომლებიც გლეხებმა და მგზავრებმა წაიღეს თვით კედლებამდის სრულიად დაზიანებულია აგრეთვე ულელ-ტეხილის იქით ბაიდარის ხეობაში არსებული „ტრანშეები“ რომლების ქვეშ ზამთარში მგზავრი დაიარებოდა, დღეს ესენი დაზიანებულია და მგზავრობა შეუძლებელია. წარსულ ზამთარში ხომ გზა ჯვარზედ არ არსებობდა მაისის თვის დამლევამდე, სანამ ბუნებრივათ თოვლი თვითონ არ გადნა. ეკონომიური მდგომარეობა მოხევეებისა მეტად მძიმეა. ის ნამდვილს აღიარებს რომ ცხოვრება ბუნებით „დაწყევლილ“ და „დალოცვილს“ ხევში, როგორც ამას თვითონ მოხევეები ეძახიან. მარტოდ და მარტოდ მოხევეებს შეუძლიან კეკავს, მოწყვეტილნი ვართ ეკონომიურად, ფული ხალხს არა აქვს, რადგანაც ამ ქვეყანაში არავითარ მეურნეობის წარმოება არ შეიძლება ერთად ერთი მეურნეობა იყო მეცხვარეობა და ეს უკანასკნელიც ტფილისის გაუმაძღარმა კუმეა იმსხვერპლა, ამ ზაფხულ შეუწყვეტლად ჩამოდიოდა როგორც მოხევეები ისე პურის შესაძენად ე. ი. შავი ქერი, რომელითაც ძველს დროში ცხენებსაც არ ჰკვებავდნენ, ასეთი ქერით საზრდოობს დღეს ხალხი. ცოტა რამ გუდამაყრებზეც, რომელნიც მთაში უფრო ქონებიან ხალხად ითვლებოდა როგორც ძველ დროში, ისე ეხლაც უმთავრესი მათი მეურნეობა და ქონება გამოიხატება მეცხვარეობაში, რომელიც მათ, გუდამაყრელებმა, ბევრის მოშენება იცოდენ. იყვნენ ისეთი გლეხკაცნი, რომელთაც 8—9—10 ათასამდე ცხვარი ჰყავდა, მაგრამ ისენი ისევე სცხოვრობდნენ და სცხოვრობენ, როგორც დანარჩენი გუდამაყრელები თავის შეუგნებლობით და უკულტურობით. ჩემის აზრით ყველაზედ შეუგნებელი და კულტურით დაბალ საფეხურზე მდგარი უნდა გუდამაყრის ხეობა იყვეს მთლად ჩვენს ქვეყანაში. სკოლა ან ბავშვების სკოლაში მიცემა ეს ხომ სრულიად არ არსებობს. ბუნებით მრავალფეროვან კუთხეში არ არსებობს არავითარი გზა, რომ ან ურმით ან სხვა რამე ეტლით მივიდეს კაცი. რაც რამე მიაქვს მოაქვს იქ მცხოვრებთ სულ საპალნით ცხენით 6—8 ფ. მეტსაც ვერ აიკიდებს მიტომ, რომ ცხენის გზაც არ არის. ამ ხეობაში მორბის მრისხანედ აღელვებული შავი კუპრივით არაგვი (ოეთრი არაგვი გახლავსთ ის, რომელიც სამხედრო გზას, ე. ი. მთიულეთს ნანას რომ ეუბნება). შავ არაგვზედ არ არსებობს ხიდები. არავითარი საზოგადო დაწესებულება აქ არ არსებობს. გუბერნიის და ადგილობრივ ქალაქი ამათი არის დაბა ფასანაური, სადაც კვირაობით იმართება „ბაზარი“ სადაც გლეხებს ჩამოაქვს თავის წლის ნაწარმოები ერბო, ყველი და სხვა მარილზედ, ჩითზედ და წალაზედ გადასაცვლელად, რითაც სარგებლობენ ადგილობრივ ვაჭრები და ჩარჩები. გარდა ამ უბედურობისა გუდამაყრელებს დაატყდა თავს ერთი საშინელი სენი: ეს სენი გამოიხატება ხევსურების თარეშში. გუდამაყრელმა რომ ორი სიტყვა მრუდად უთხრას ხევსურს, ხევსური ბაშინათვე ჰქმნის ეგრედ წოდებულს „რჯულს“, სუდს, სამართალს და მოითხოვს მისთვის არა საკადრის სიტყვაზედ ორს ან სამს ძროხის საკლავს ან სხვას რამეს, გუდამაყრელი იძულებული ხდება მისცეს, რომ არ დაარღვიოს ხევსურული წესი-ჩვეულება „რჯულობა“, რადგანაც იცის რა შედეგი მოჰყვება ამ წმინდა საქმის დარღვევისათვის. ხალხი დამონებული ჰყავს და შიშის ქვეშ ჰყავს დაჭერილი. ამ უბედური ხალხისთვის არ არსებობს არც სამართალი და არც მთავრობა, რომელიც მათ ადმოუჩენდეს შველას და დახმარებას. ერთად ერთი იმედი მათ ღვთისა აქვს, მაგრამ როგორც თვითონ ამბობენ ღმერთმაც დაგვივიწყა და ფუძის ანგელოზმაცა. ამ ბოლო ხანში გახშირდა იქ ყაჩაღობა. სტეხენ შეძლებულ გლეხების სახლებს, მიაქვთ თუ მოიპოვება ძველი ოქროს ფული, ვერცხლეულობა—სპილენძი. ტანსაცმელი, ლოგინი და ქამარ-ხანჯალი და გაძარცულს ნივთებს თვითონვე პატრონს აჰკიდებენ მხარზედ და დანიშნულ ადგილამდე მიატანინებენ.

ამა წლის 12 ივნისში, გუდამაყრის ერთ ერთ ხეობაში, ბაკურხევში, სადაც მიდის გზა პირიქით ხევსურებში (თიანეთის მაზრა) მოხდა შემდეგი ბოროტმოქმედება. შემოხვევით ვინმე მოქალაქე ნიკოლოზ დავითაშვილი გაემგზავრა ბაკურხევში, ცხენის ცხენზედ გადასაცვლელად. მისვლისთანავე ხსენებულ სოფელში გუდუმაყრელებთან ერთად იმყოფებოდნენ ორი მისთვის უცნობნი ახალგაზრდა ხევსურნი.

ხსენებული დავითაშვილი მივიდა რა მასპინძელთან ზედვე მიჰყვნენ ის ორი ხევსურნი. მასპინძელი რასაკვირველია უხვად დაუხვდა თავის სტუმრებს. ერთს ხევსურთაგანს ძალიან მოსწონებია მოქ. დავითაშვილის „დურბინი“, მ. დავითაშვილმა განუცხადა უარი გაყიდვაზედ და ხევსურმა ძალით მოინდომა მისი შეძენა. დაპირდა მ. დავითაშვილს 1 ნახ. ფ. ერბო, დავითაშვილიც დაყაბულდა და წაუყვა ამ ორ ზემოხსენებულ შეიარაღებულ ხევსურებს. მასპინძელმაც ხელი მოუმართა დავითაშვილს ხევსურებთან ერთად წასვლას ერბოს მისაღებათ, ხევსურების სოფელში, რომელიც მაღალ ქედზედ ორი ვერსის მანძილზედ მდებარეობდა იმ სოფლიდან, დავითაშვილი შეეხდა თავის შეკაზმულ ცხენზედ ხევსურებს კიდევ მასპინძელმა მისცა თავის „ტატველა ცხენი“ და გაუდგნენ გზას. გაიარეს რა დაახლოვებით 1 ნახ. ვერსი შეეიდნენ ერთ ერთ ტყიან ხევში და აქ მოინდომეს მ. დავითაშვილის წამება ხანჯლებით და თოფით. თვით დავითაშვილი სრულიად უიარაღო იყო. აქ ამ უჩალთაგანმა, რომელიც არ იქნებოდა 19—20 წლის მეორე კიდევ მეტად უფროსი, დასჭრეს ჯერ ხანჯლით მერე თოფებით, მამ ჩემი თქვ ნ მოხევეებმა მოჰკლითო. ეი ეხლა გავსწორდეთო. ძალას რომ ვედარ გუმკლავდა, დავითაშვილმა მიმართა მორალურ მხარეს, მოაგონა არსენა ოძელაშვილი, რომელსაც არც ერთი კაცი არ მოუკლავს მას თავის სიცოცხლეში გარდა გაძარცვისა, რომელისაც სადღეგრძელოს დღეს ყოველს სუფრაზედ იგონებენენ როგორც ვ ტკაცს. ასე დაახლოვებით სამ საათამდე საღამომდე არ გამოუშვია. ძალიან იმოქმედა ამ ხევსურზედ დავითაშვილის ლაპარაკმა და ვაჭკაცობის შერცხვენა და ბოლოს ხევსურმა უთხრა „ვ ქი ჰყოფილხარ ვაჭკაცო, ნასწავლიც ჰყოფილხარო შენი მოკვლაო ცოდვაიაო, მხოლოთ დაავალა ბოლშევიკების სამსახურში არ შეხვიდეო და თვით ბოლშევიკებზედაც დიდი წმუქარა და ლანძღვა დაავალა და გამოუშვა ცოცხალი. ეს ნატანჯ, ნაწვალი კაცი მეორე დღეს ფეხით ჩამოვიდა დაბა ფასანაურში და გამოუცხადა ადგილობრივ მთავრობას თვისი თავგადასავალი.

ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ბადაშვილმა რომელიც ენერგიულად სდევნის ყაჩაღებს და ბოროტ მოქმედობას, სწრაფლივ გავგზავნა გუდამაყრის ხეობაში და რამდენიმე მილიციონერებით და პირიქიულ ე. ი. (თიანეთის მაზრის) ხევსუგრებს, იმ ყაჩაღების მეზობლებს, ჩამოართვა ორი ჯორ-ცხენი, თვითოს ორივე ტარების პატრონებს დაავალა სანამ ნაძარცვს სრულიად არ წარმოადგენთ ფასანაურში მე ამ თქვენ ჯორებს არ დაგიბრუნებთ ორი ჯორცხენი კი ფასანაურში ჩამოიყვანა. რამდენიმე დღის შემდეგ ზემოხსენებ. ხევსურებმა ნაძარცვის მაგივრად ჩამორეკეს იმ ყაჩაღების ოთხი ხარი. რასაკვირველია იმათ კი თავის ჯორები დაუბრუნეს და თვითონ თავის უფლებამისცეს, იმათი ... ...